

№ 14. 1948 წ.  
ბაგოცემის წელი XXV.  
ფასი 2 მან.

# ნიანში

თბილისი  
ბაგოცემლოგა  
„ქობულნი“



15/2 18  
5 მან  
№ 204

Обязательный экземпляр

ნახ. ი. ქოქიაშვილისა  
**ვინ როგორ გაანიავა**

ამ ხორბალს რომ ვანიავებთ, ჩვენი  
თავმჯდომარე მახსენდება: ჩვენ რამდენიმე  
დღე უნდა დავგიწერონ და იმან კი, ამის  
ნახევარი ხორბლის განიავებაში, უცბად  
ათი წელი მიიღო.

# დღღარის საფლოგალოუი

## ცრუმორფშუმეობის სტატისტიკა

ოფიციალური სტატისტიკური ცნობის თანახმად, ამერიკელები ყოველწლიურად მკითხავენ და „წინასწარმეტყველებაზე“ ხარჯავენ 125 მილიონ დოლარზე მეტს.

კიდევ უფრო მეტი უჯდებათ „განათლებულ“ ამერიკელებს სხვადასხვა „ჯადოების“ აგვარებისა და ამუღებების შექმნა.

10 მილიონზე მეტი ამერიკელი განუყრელად თან ატარებს კურდღლის თათებს, როგორც ბედნიერების მომასწავებელ ნიშანს.

## სამაჰანკლო ტრესტი

ტოკიოში ჩამოყალიბდა თავისებური ტრესტი, რომელიც ასრულებს ორგანიზაციული მაკანკლის როლს, აწყობს ქალ-ვაჟის გარიგებას და დაქორწინებას.

„კლიენტი“ მიდის ამ ტრესტის კუთვნილ უნივერსალურ მაღაზიაში, სადაც მას ასარჩევად წარუდგენენ რამდენიმე გასათხოვარ ქალს. „თანამცხედრის“ არჩევასა და „საქორწინო“ პროცედურაზე უნივერსალის ადმინისტრაციას საშუალოდ ვსარჯება ორი საათი.

არჩევანის მოხდენის შემდეგ „მეფე-დედოფალი“ მიემართებიან ბუდისტურ ტაძარში, რომელიც დღე-ღამის განმავლობაში ღიაა.

მთელი ეს ოპერაცია ჯდება სულ 6. 000 იენი „დედოფლის“ მოკაზმვის „მეფის“ გაპარვისა და საქორწინო ტანსაცმელის ქირის ჩათვლით.

## ტრაპტორი და ცოლის ზეითვა

კანადის ერთ-ერთ გაზეთში ამას წინათ შემდეგი განცხადება გამოქვეყნდა „ოცდაჩვიდმეტი წლის ფერმერს სურს ოცდაათი წლის ქალიშვილის გაცნობა და-ქორწინების მიზნით. ქალიშვილმა უნდა იცოდეს ტრაქტორის მართვა. გათხოვების მსურველმა გაეგზავნოს ტრაქტორის ფოტო-სურათი. საფოსტო ყუთი №342“

## სამკულატია სიზვილობით

საბერძნეთის ფაშისტურმა მთავრობამ მინიმუმამდე შეამცირა პურის ნორმა და ამჟამად იგი 80-100 გრამს ძლივს შეადგენს.

ამავე დროს მთავრობამ პურის ფასი 350 პროცენტამდე გააღიდა, რათა ოდნავ მაინც გააწონასწოროს ვიჭებრთელა დეფიციტის ბიუჯეტი.

# ახალი თარგები

ინგლისელები და ამერიკელები ცდილობენ თავისი ექსპანსიური მიზნების განსახორციელებლად ოსმალეთს ჩამოსჭრან ალექსანდრეტა და გადასცენ ხერხას, ამის სამაგიეროდ კი თურქეთს მსუქანი ლუკმის სახით, ირანის დასავლეთი ტერიტორიის ნაწილი მიაკუთვონ.

გაზეთებიდან

ნახ. გ. ლომიძისა



აქა სჭრის და იქ აკერებს, მაგრამ მაინც ისე თერძობს, რომ მსუქანი ლუკმა ბოლოს მხოლოდ თვითონ მიიკერძობს.

# უხუო დაკაუაგი—უხუოათიდან

**ბელგრადი:** დუნაის სახელმწიფოთა კონფერენციაზე საზეიმოდ გამოცხადდნენ შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლები. მათ ერთხმად და თავაზიანად განაცხადეს რომ განზრახული აქვთ გაუადვილონ კონფერენციას მუშაობა და შეიტანეს ასეთი კეთილმეზობლური წინადადება:

ამერიკამ, ინგლისმა და საფრანგეთმა გულწრფელად გადასწყვიტეს მხოლოდ მათ ეკუთვნოდეთ მდ. დუნაიზე ნაოსნობის უფლება. თვით დუნაის სახელმწიფოებს კი შეუზღუდველი უფლება ენიჭებათ დარჩნენ თავიანთ საზღვრებში იმის მაყურებლად, თუ როგორ იპარპაშებენ დუნაიზე ამერიკელ-ინგლისელი და ფრანგი ექსპანსიონისტებიო.

მათმა განცხადებამ საერთო ღიმილი გამოიწვია. ამხანაგმა ვიშინსკიმ მოაგონა ამ დარბაისლური წინადადების ავტორებს, რომ დუნაის კონფერენციის დღის წესრიგში არ არის გათვალისწინებული იუმორისტული განყოფილება. რადგან საქმიანი მუშაობის ატმოსფეროში ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის დელეგატებს გულის ხუთვა აღმოაჩნდათ, ამხ. ვიშინსკიმ მათ განუბარტა, რომ კონფერენციის დარბაზს აქვს როგორც შემოსასვლელი, ისე გასასვლელი კარებიცო.

**ლონდონი:** გუშინ ვინძორის სასახლეში ასეთი პიკანტური შემთხვევა მოხდა: ვაშინგტონიდან ჩამოსული ამერიკელი მოხელე ეწვია ინგლისის სახაზინო კანკლერს კრიპსს, რომლისთვისაც უნდა გადაეცა გეგმა ინგლისის მრეწველობის გაუქმებისა და მის ადგილზე ამერიკული მონოპოლიების დაარსების შესახებ.

კრიპსმა ტრუმენის ჩინოვნიკი მოწიწებით მიიღო და მორჩილების ნიშნად მოიწადინა მისთვის ფეხების დაბანა. კრიპსს აღელვების გამო ტაშტი ხელიდან გაუვარდა. ტაშტი არ გატეხილა, მაგრამ მთელს ინგლისში გავარდა ხმა იმის შესახებ, რომ დიდი ბრიტანეთი ყმად უხდება ამერიკას.

ამის გამო გაცხოველებული კამათი გაიმართა თემთა პალატაში. ჩერჩილმა ვრცელი სიტყვა წარმოთქვა, როქელშიც აღნიშნა:

— ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ, რომ ინგლისმა ამერიკელებს ფეხები ჰბანოს, მაგრამ ტაშტი მაინც არ უნდა დავარდეს, რომ ხმა არ გავარდესო.

**ბერლინი:** ბერლინის ინგლისური ზონის კარებთან თავი მოიყარა დიდძალმა გერმანულმა ავეჯმა. ძვირფასი კარადები, მაგიდები და სავარძლები ქარავენბად მიისწრაფვიან ბრიტანეთის ნახევარკუნძულისაკენ. მათ თან მიჰყვებიან ინგლისელი ჯენტლმენები, რომლებიც აცხადებენ, თითქოს ისინი კი არ იტაცებენ გერმანელთა ოჯახებისათვის წართმეულ ავეჯს, არამედ ავეჯი იტაცებს მათ.

გერმანული ავეჯით გატაცებულ ინგლისელ მოხელეთა სულიერი განწყობილება ისე გულამაყუჩებელია, რომ ინგლისის საოკუპაციო ზონის ხელმძღვანელებიც განსაკუთრებული თანაგრძობით ხვდებიან და ყოველმხრივ ეხმარებიან მათ.

**ერთ ერთი დედაქალაქი:** შინაგან საქმეთა საშინისტროს იმ განყოფილებაში, სადაც განგსტერებს და პროვოკატორებს ქირობდნენ, ორი საექვო პირი გამოცხადდა.

- თქვენ რა გნებათ?— შეეკითხა შერიფი პირველს.
- ანგარიშის გასწორება, — მიუგო მან, — ფული მერგება.
- რაში გერგებათ?
- ტოლიატის დაქრავი.
- თქვენ?— ჰკითხა მეორეს.
- მე ტოკუდაზე თავდასხმაში.

ამის შემდეგ შერიფმა კარები მაგრად დახურა და ტალანში მდგომ მთხოვნელებს ნაწყვეტ-ნაწყვეტი ყვირილილა ესპოდათ:

— არაზხადებო, უსინდისოები ჰყოფილხართ, ვინ დაგავალათ მათი დაქრა?

— თქვენ დაგვავალეთ მისტერ შერიფ!— უპასუხებდნენ პროვოკატორები.

— ტყუილია, ევენ დაგვავალეთ მკვლელობა და არა დაქრა. პირობა დარღვეულია; დაისჯებით, როგორც ბოროტმოქმედნი. ბოროტმოქმედნი, ცხადია, დაისჯებიან.

საანგარიშო მოხსენება პირველი კვარტალის გეგმის შესრულების შესახებ ვალიარე ბარბაქაძემ ბრწყინვალედ ჩაატარა. მოხსენების დასაწყისში ამბანაგი დირექტორი შეგერდა იმ დიდ საჩუქრად და საწარმოო მნიშვნელობაზე, რომელიც გააჩნია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში მისდამი რწმუნებულ „თერმო-ბარომეტრგაერთიანებას“. შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ეს წარაგება თითქმის ოცი წელია არსებობს და ვალიარე ბარბაქაძეც ორ წელზე მეტია მას განაგებს, ამბანაგი ხელაწა გააცნო დამსწრე მუშა-მოსახსნურებს წარაგების ისტორია, როგორც ყველთვის, ყოველ თავის მოხსენებაში, ყოველ კვარტალში. შემდეგ, თავისი დამსახურების თავდადებად გვერდის ავლით, მან მოაგონა დამსწრეთ, რომ ამ წარაგებას მხოლოდ ამ ორი წლის განმავლობაში აქვს მიღწევები და გამარჯვებანი. მხოლოდ ამ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე გადაიქცა იგი მსხვილ საწარმოო ერთეულად, მანამდე კი ერთი ჩამორჩენილი, პროვინციული, უღიძვრო და წესებულება იყო. შემდეგ, ამბანაგი ორივედ სიტყვით შეგებო „თერმო-ბარომეტრგაერთიანების“ ელანდები ხელმძღვანელი აპარატის მოქნილ საქმიანობას და დასასრულ მოკიდებით და ზრდილობით იჩქარა ხოგით სკეპტიკოსებზე, რომელნიც გეგმის შესრულებაში ნაწილობრივ ჩამორჩენას დიდ უბედურებად სთვლიან.

ბარბაქაძის მოხსენებას აპლოდისმენტები და ოვაცია არ გამოუწვევია, რაიც ამა. ვალიარემ თავდაბლად აპარტა დამსწრეთ.

კამათში პირველად სონდივის სამქროს კომკავშირის ძირითადი ორგანიზაციის მდივანი გამოვიდა. მან მკაცრად და მოლოდინდლად გააკრიტიკა დირექციის მუშაობა. ახალგაზრდა არ მოერიდა თვით ვალიარესაც და პირდაპირ უთხრა კრებას, რომ წინა კვარტალის გეგმის შესრულებლობა დირექციისა და პირადად ბარბაქაძის უყარათო მუშაობის შედეგი იყო.

ვალიარე დინჯად და აუღელვებლად წამოგდა. მამაშვილურად გაუღიმა კომკავშირელს და დაყვებით მოაგონა:

— ამბანაგი სულიკო, ეგ მე წინა კრებაზე ვალიარე.

ჭაბუკს თითქოს პირიდან სიტყვა გამოგლიჯეს. კამათში გამოსული სტახანოველი ქალი მიმდინარე კვარტალის გეგმების შესრულებაზე შეგერდა.

— წინა კვარტალი გეგმა, — სთქვა მან, — სამარცხინოდ ჩავარდა. ჩვენ სახელმწიფოს დავაყელით ჩვენზე დაკისრებული პროდუქციის თითქმის ნახევარი. სწორად აღინნეს ამბანაგებამა, რომ ეს გარღვევა ჩვენი საწარმოოს დირექციის უყარათო მუშაობის შედეგი იყო. აქედან ჩვენს ხელმძღვანელ ამბანაგებს სათანადო დასკვნები უნდა გაეკეთებინათ, მაგრამ აი, მიმდინარე კვარტალის მიწურულიც დგება და ჩვენ ისევ გეგმათა შესრულებლობის საფრთხის წინაშე ვდგევართ. ვინ არის აქ დამნაშავე? ისევ და ისევ ჩვენი დირექცია, რომელმაც ვერ შეესდო საწარმოს უზრუნველყოფა სათანადო მასალით, ვერ შესდო შეეწყო ხელი ჩვენი სტახანოველებისთვის ნიშნავათ შეუგერებლად და მაღალი ნაყოფიერებით. ჩვენ ვესვით საკითხს: რას ფიქრობს ჩვენი დირექცია? რას გეგმავს იგი?

დინჯად, თავდახრილი წამოგდა დირექტორი ბარბაქაძე. დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა დირექტორის ასხნა-განმარტების მოლოდინში. სულ-განბულნი ელოდნენ იმ მიხეხების მოსმენას, რომელიც ასეთი გარღვევის წინაშე დაყვენს წარმოება.

ბარბაქაძემ მრავალმნიშვნელოვანად გადაჰხედა აუდიტორიას.

— გულახდილად ვალიარებ, რომ პირველი კვარტალის გეგმის შესრულებლობაში პასუხისმგებლობა გვეკისრება ჩვენ, საწარმოოს ხელმძღვანელობას. მე, ამბანაგებო, თქვენც კარგად იცით არ მივევია თვითკრიტიკის უგულვებელყოფა, გაჯიუტება და ქედმაღლობა. ეს თვისებები წარსულის გადანაშთია და ჩვენ იგი საბოლოოდ უნდა აღმოვფხვრათ. ჩვენ ჩვენს მუშაობაში უნდა მოქნილნი ვიყოთ, ანგარიში უნდა გავუწიოთ მასების კრიტიკას, მასების აზრს, მასზე უნდა ვაგებდეთ ჩვენს მუშაობას. ამ აზრისა ვარ მე და ამ ნიადაგზე ვდგავარ მე. ამიტომ მოგახსენებთ ამბანაგებო, პირ-

ველი კვარტალის გეგმის შესრულებლობის შესახებ რომ ნე-ვალიარე.

ბარბაქაძე დაჯდა, შუბლზე ჭრელი ცხვირსხოცი გადაისვა და აუდიტორიას განარჯვებული კაცის კმაყოფილებით გადაჰხედა.

მეორე კვარტალის გეგმის გარშემო ვრცელი და ენაწყლიანი მოხსენებით წარსდგა ვალიარე ბარბაქაძე ხალხით გაჰყდილ სხდომის დარბაზში.

— ჩვენს წარმოებას, — სთქვა მან, — ოც წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს რას წარმოადგება იგი ამ ორივედ წლის წინა? როგორ პასუხობდა იგი საყვარელი სამშობლოს მოთხოვნებს? როგორ ასრულებდა სახელმწიფოს დავალებს? მე ამის შესახებ სიტყვას არ გავაგრძელებ. ჩვენი წარმოება ამ ორივედ წლის წინათ იყო ერთი ჩამორჩენილი, პროვინციული ხასიათის უღიძვრო წარმოება, რომლის წარსულ მუშაობაზეც სერიოზული საუბარი, ვფიქრობ, არცა ღირს. რას წარმოადგებს იგი დღეს? დღეს იგი დგას ჩვენი ქვეყნის მოწინავე საწარმოთა რიგებში, მასზე დიდ იმედებს ამყარებს ჩვენი მშრომელი მოსახლეობა და ეს იმედები ჩვენ უნდა კიდევ გავამართლოთ. ჩვენ შევძლებთ ამას მოქნილი მუშაობით, ახლებური მუშაობის სტილით, სტახანოვერი მოძრაობის გაღრმავებით.

კამათში პირველი ისევ ამბანაგი სულიკო გამოვიდა:

— არავისთვის საიდუმლოება არაა ის ამბ.ვი. რომ ჩვენ პირველი კვარტალის გეგმა ვერ შევასრულეთ! ვის მიუძღვის ბრალი ჩვენს ჩამორჩენაში? მე კვლავ დირექციის მუშაობაზე მივითვებთ. ამაში ბრალი აშკარად ჩვენს ხელმძღვანელ აპარატს მიუძღვის და თვითკრიტიკის წესით უნდა ვთქვა, რომ პირველ რიგში ამბ. ბარბაქაძეს ეკისრება პასუხისმგებლობა.

— ამბანაგი სულიკო, ეგ მე წინა კრებაზე ვალიარე, — გაღიშებული სახით, დაყვებით შეაწყვეტინა სიტყვა ჭაბუკს ბარბაქაძემ.

— კი მაგრამ... — მზრების აწვეით გადახედა სულიკომ დასწრეებს და დაჯდა.

სარანდავი სამქროს უფროსმა თითქმის აღშოთებებით ილაპარაკა მეორე კვარტალის გეგმის შესრულებლობაზე. მან კატეგორიულად მოითხოვა დირექ-

ციისგან სამქროს და მთლიანად საწარმოოს დაუყოვნებლივი მომარაგება სათანადო ნედლი მასალით.

— განა ეს მასლა ცხრამთას იქითა? განა ეს მასლა არ ეძლევა ჩვენს წარმოებას? მაგრამ ჩვენი დირექციის უყარათო მუშაობის შედეგად ჩვენი ოწინავე სტახანოველები მთელი კვირით ცდებიან, მათი ნაყოფიერება მათი შესაძლებლობის ნახევარსაც კი არ უღრის. ამიტომაც არის, რომ მიმდინარე კვარტალიც მიწურულს უახლოვდება და ჩვენი საწარმოო გეგმა ვერ კიდევ არაფერ შუაშია. რას ჰფიქრობს ამან ჩვენი ხელმძღვანელი აპარტი? რას გეგმავს ამან ამბანაგი ბარბაქაძე?

ბარბაქაძე კვლავ დინჯად წარსდგა აუდიტორიის წინაშე.

— მე, ამბანაგებო, გულწრფელად ვალიარებ, რომ მეორე კვარტალის საწარმოო გეგმის შესრულებლობაში პასუხისმგებლობა მთლიანად ხელმძღვანელ აპარტს ეკისრება, პირადად მეც. არავისთვის არ არის ახალი, რომ თვითკრიტიკის შეუფასებლობა, ქედმაღლობა, ჯიუტობა წარსულის გადნაშთია და მას ჩვენ მთელი სისასტიკით უნდა ვებრძოლოთ. უნდა აღმოვფხვრათ იგი ჩვენი მუშაობიდან. ჩვენ უნდა ვიყოთ მოქნილნი და მუშაობა ვაწარმოოთ ახლებურად, სტახანოვერად. მეორე კვარტალის გეგმის შესრულებლობაზე მოგახსენებთ, რომ — მე ვალიარებ.

— კი მაგრამ რას გვიშველის ეგ ალიარება. — ჩაილაპარაკეს აუდიტორიაში. მესამე კვარტალის გეგმის შესრულებლობის შესახებ ამხ. ვალიარე ბარბაქაძემ უკვე რაიონულ კომიტეტში ალიარა.

— მეორე კვარტალის გეგმის შესრულებლობაზე რას იტყვიან? — შეეკითხნენ ვალიარეს.

— ეგ მე საწარმოში უკვე ვალიარე.

— პირველი კვარტალის გეგმის შესრულებლობას რით ხსნიან?

— ეგვე ვალიარე.

მეოთხე კვარტალის გეგმა „თერმო-ბარომეტრგაერთიანებამ“ უკვე გადაჭარბებით შეასრულა, მაგრამ ამჯერად მოხსენებას, გეგმების შესრულების შესახებ სხვა დირექტორი აკეთებდა.

აზრასიონი


## „მოამსახურა“

ნახ. შ. ცხადაძის



— მომეცით საჩივრის წიგნი!  
 — არა გვაქვს, გუშინ მომხმარებლებმა გვიჩივლეს შაქარს ქალაღში არ გვიხვევთო, საჩივრის წიგნი დაგბიეთ და შიგ შაქარი გავუხვიეთ!





შინვაჭრობის მაღაზია

წერილი ნიანგს თელავიდან

გაზიკო დაჯი (ახალციხე)

ერთი დანა გვაქვს ძამია!

(წალგერი)

დღემდე ცნობილი იყო „თბილ-ვაჭრობის“, „საქვაჭრობის“, „სანხ-ვაჭრობის“ და „კურორტვაჭრო-ბის“ მაღაზიები. ამჟამად სამტრე-დიის რაიონის სოფელ ნოღში ჩამოყალიბდა „შინვაჭრობის“ მა-ღაზია, რომელსაც ხელმძღვანე-ლობს მაღაზიის გამგე ნოე წანიძე. კოოპერაზიამ ეს სახელწოდება ამრიგად მიიღო:

ერთ სწვენიერ დღეს ნოე წა-ნიძემ აღწერა, რომ მისდამი რწმუნებული მაღაზიის შენობას სარემონტო ავადყოფობა დამარ-თვოდა.

— შევაკეთოთ, — მიმართა ნოემ სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს.

— რა დროს ეგ არის, კაცო, ამდენი კამპანია მაქვს ჩასატარე-ბელი! — სთქვა თავმჯდომარემ.

და ნოეს ჯერ საყვედურის გა-მოთქმაც არ მოესწრო, რომ მაღას ზიის შენობა გაიზმორა და ის-მიიღრიც-მიიღრიცა, შიგ შესვლაე ჯანბაზიც ვერ გაბედავდა.

— რა გქნა, კაცო? — კვლავ შეე-კითხა ნოე საბჭოს თავმჯდომარეს.

— საქონელს მოუარე, ბიძია, შენ ხარ პასუხისმგებელი, მე კი არა! — განუმარტა საბჭოს თავ-მჯდომარემ.

ნოე წანიძე ცოლს შეეხმურა.

— ქალო, ავეჯი მიაწყ-მოაწყე სახლში, თავს ხომ არ დავიღუპავ! ხანგრძლივი კამათის შემდეგ ნოემ მაღაზიაში დარჩენილი ხარა-ხურა სახლში გადაიტანა.

მეორე დღეს მომხმარებლები მიადგნენ:

— ნოე, ეს სკამი რა ღირს?

— ეს ჩემი საკუთარი გახლავთ, ბატონო, არ იყიდება.

— ეს ფარდები რა ფასიანია?

— ფარდებიც ჩემი გახლავთ, ვერ გაყიდი.

— აბა, ის ზეწრები მაინც გა-ნოგვიწერე.

— ბიძია, რას შემომიჩნდით, ლოგინი გინდათ წამართვათ?

— შეხედე ამას, რაც კარგი რამეა თითონ მიისაკუთრა და მუ-ყაოს დიღები რა ეშმაკად გვინდა! მოგვეცი, ბიძია, საჩივრის წიგნი.

ნოეს მიქელ-გაბრიელისა არ ეშინია ისე, როგორც საჩივრის ჩაწერისა. იღებს და ჰყიდის წვა-დაგვით „ნაშოვნ“ საკუთარ ნივ-თებს.

— რა უშავსო, თქვენ იტყვი, როდისმე ხომ აშენდება მაღაზიის შენობა, ნოე ერთ კვირაში ყვე-ლაფერს ისევ იშოვნისო, — მაგრამ საქონლის ახალ პარტიას ნოე სა-ხლში აღარ მიიღებს, ალბათ სო-ფლისაბჭოს თავმჯდომარის ბინაში გადაიტანს და მაშინ რა ეშველე-ბა თავმჯდომარეს, კამპანიების ჩატარებაში ხომ ხელი შეეშლება?

ჩვენს კოხტა სამკითხველსა რატომ ადებენ გვიანო? უფრალნი მიმოფანტულნი აღრიცხვას ინატრიანო, გაზეთებს გაშლილს ვერ ნახავთ, სადაც კუნძულში ჰყრიანო. ჩვენ ვკითხეთ: — „აჲ რად არი?“ მოგვიგეს: — „იპარვიანო“; თანამშრომლებიც ცელქობით აღმა და დაღმა რბიანო, შენ „პუშკინსა“ სთხოვ. ისინი „ლესკოვსა“ მოგართმეიანო. ეტყვი: „არ“ — „დაგმობიციცებენ“; „პუშკინს — ლესკოვი ჰქვიანო“.

\*\*\*

თელავო, ჩვენო თელავო, ქალაქო ლახათიანო. წყლები ბლომად გაქვს, აბანო რატომ არ გვიოგვიანო? სულ მუდამ დაკეტილს ვხედავთ, კარნი ვერ გაგვიღიანო, თვეში თუ ერთხელ გააღეს, მაშინაც ვიდარდიანოთ: პატარაა და წყალმცირე, ონკანიც მიხეზიანობს, ხან ცივი, ხანც ნელთბილი, ხან სულ არ „ენაწყლიანობს“, ტანისამოსთა კარადებს კარნი არ დაუგდიანო, ნეტავი ჭურდებს-ბაცაცებს არა-რას წააგვიანო? შენ გვედრები, გვიშველე ჰუჰორით მკურელჩანგლიანო: შენ გენაცვალე, ნიანგო, საქმე არ დავგიგვიანო!

გ. გულაშული

— ის ჩვენი სადალაქო არ მუშაობს? — როგორ იძუშავენს, როცა დალაქი არა კვყავს?

— რას ბრძანებთ, ეს ხომ ახალციხის № 9 საფაბრიკო-საქარზო სკოლაა?

— სწორედ ის არის.

— ის არის და საქმეც ის არის, რომ სკოლის დირექტორმა შალვა ზუციშვილ-მა დალაქი შტატით აიყვანა. თვეში 450 მანეთი ხელფასი დაუნიშნა და ამის შესა-ხებ ბრძანებაც დასწერა.

— რომელი დალაქი აიყვანა შტა-ტით?

— რომელი და ტუშვიკო საყვარელი-ცე.

— ჰა, ჰა, ჰა, ჰა!

— რას იციანი?

— იმას ვიციანი, რომ ტუშვიკო საყვა-რელიცე კბილის ექიმი და არა დალაქი. — მართლა? მაშ დალაქად რად გაა-ფორმა?

— რა ძნელი მისახვედრია, ტუშვიკო და შალვა ხომ მეგობრები არიან?

— მეგობრები არიან.

— ხომ ერთად ქეიფობენ?

— ერთად ქეიფობენ.

— ქეიფის ხარჯებს ხომ გასტუმრე-ბა უნდა?

— უნდა.


— ჰოდა შალვამაც ტუშვიკო დალა-ქად იმიტომ გააფორმა, რომ ისინი მე გობრები არიან, რომ ერთად ქეიფობენ რომ ქეიფის ხარჯებს გასტუმრება უნდა, რომ ხარჯების გასასტუმრებლად „ტყუ-ილა“ ნაშოვნი 450 მანეთიც საგრძნობი თანხაა, — ახლა ხომ გავგე?

— ვერა, მე ვერ გავიგე, მაგრამ ალ-ბათ სახეცნობროლი გაიგებს.

ნ. დადიშელი

ანანურის კრამიტის ქარხანასთან

ნახ. დონესა



— ხაკირველია, კრამიტის ქარხანა და კრამიტი არ მხურავს.

— რას იზამ, კრამიტის გამოწვის გეგმა ვერ შე-ასრულეს და დამკვეთებს სახურავიდან ახდილი კრამი-ტი ჩააბარეს!

რად გვიწყრება კინო-ბაზა

(ვანის რაიონი)

ამხანაგო ნიანგო!


თქვენი დახმარებით სამღურავი გვაქვს სათქმელი ვანის კინო-ბაზის მისამართით. ნუ დიხარებთ და ჩვენი გულის ტკივილი აცნობეთ აღნიშნული ბაზის გამგეს ამხ. ოთარ ახვლედიანს.

არ ვიცით, რატომ მოგვიძულეს რაი-ბაზამ და პირადად ამხ. ახვლედიანმა, რატომ ასე იშვიათად გვიგზავნიან სოფლის კლუბებში კინო-სურათებს. უფრო სწორად რომ ვსთქვათ, რა-ტომ არ გვიგზავნიან სურათებს? გარ-წმუნებთ, ამხ. ნიანგო, რომ საამისო და-ბრკოლება საერთოდ არ არსებობს, რა-დგან კარგად ვიცით, რომ ბაზას სურა-თები აქვს, სოფლებში კლუბებიც ბლო-მად არსებობს, — მაყურებელთა მოთხოვე-ნილება ხომ არის და არის.

ამხ. ოთარ ახვლედიანის გულმავიწყო-ბა არ გაგვიგონია, არც რაიმე დანა-შაული მიგვიძღვის კინო-ბაზის წინაშე, არც იმის თქმა შეიძლება, რომ პატივის-ცემას ვერ დაეფასებდით კინო-ბაზას და მის გამგეს, თუ გაჭირდა და მან ჩვენსკენ ჩამოვლა ინეუა — ღვინო და სასადილო ჩვენშიც მოიძებნება. ი.ე. რომ არავითარ-ი საბაბი არ მიგვიცია გაბუტვისათვის. მაშ რას გვეჩიან, რომ გრაფიკში მაინც არ შეაქტო ჩვენი კლუბები?

ეს სამღურავი-გესურდა, რომ თქვენის დახმარებით გადაგვეცა ჩვენი რაიკინო-ბაზისათვის.

ვან. მართაშული



უცნაური სიზმარი ვნახე. დედაჩემო, ვითომ მაღაზიიდან უამრავი ფართალი წამოვიღე, ზოგი ნაცნობებს მივეცი, ზოგი სახლში მოვიტანე და დანარჩენი ბაზარში ვავასაღე... რას აქიანურებ, პირდაპირ თქვი, სიზმარში ვნახე, ვითომ მაღაზიის გამგედ დავენიშნეთქო!..



ბიჭიკო, რატომ თამაშობთ ქუჩაში, ეზო არა გაქვთ? კი გვაქვს, მაგრამ ჩვენს ეზოში კომკავშირის რაიკომის პიონერთა განყოფილების გამგეცხოვრობს და არ გვინდა შევაწუხოთ.

ადმინისტრაციული რომანი

ჩვენი მკითხველების დიდ რაოდენობას, განსაკუთრებით კი ჰასაკში ჯერშეუსვლელ თაობას ჰგონია, რომ მილიციელები ერთი-მეორეს ჰგვანან, ყველა ერთნაირად უსტვენს და ჯარიმების მეტი საქმე არა აქვთ.

ეს ნამდვილად ასე არ არის. თუ მცდარი შეხედულება რომ გავფანტო, მინდა გიამბოთ ერთი 'ხიარული რომანის' შესახებ.

მილიციის რიგითს თანამშრომელს გიგა ბურიშვილს თვალში ჩაუვარდა შორეული მეზობლის ქალიშვილი თინა. (ასე იტყვიან ხოლმე, თორემ იმხელა ქალიშვილი თვალში როგორ ჩაუვარდებოდა!).

თინაც კარგი გოგონა ვახლდათ და ისეთ ჰასაკში იმყოფებოდა, როცა ბუნება ყველა ქალიშვილს ავალებს ოჯახის შექმნაზე იფიქროს.

შეჰხედეს ერთმანეთს და მოეწონათ.

მოეწონათ და მორცხვ გამიჯნურებულთა შორის საუბარი ჩამოვარდა:

- შენ საით ცხოვრობ?
- აგერ იქ, აი, ღობეშემონგრეული სახლი რომ არის.
- მე აი, იმ მაღალ სახლში ვცხოვრობ...
- დღეს იცი რა კარგი კონცერტია ცე-პე-კეოში?
- ცე-პე-კეო რაღაა?
- მუსტიადი.
- მერე, ქრისტიანულად ვერ მითხარი?! რა კონცერტია?
- მსახიობები გამოდიან.
- დედას ვკითხავ, თუ გამიშვა.

- მე დედაშენს ვიცნობ, იმ დღეს, ქუჩაში ულაგო ადგილას გადავიდა და არ დავაჯარიმე.

- მითხრა, ნაცნობი იყო და არ მოვერიდეო.

რომ არ გავაგრძელოთ, კონცერტზე მხოლოდ მესამე საღამოს წავიდნენ. სანახაობა ვერ მოეწონათ, მაგრამ ვანა იმისა ჯავრი ჰქონდათ? შემდეგშიც ხშირად დადიოდნენ ასეთ კონცერტებზე, მსახიობების მაგიერ ერთმანეთს უყურებდნენ და მომავალ დამოკიდებულებას არკვევდნენ.

ბიჭი ამბობდა: გინდა თუ არა, ჩემი მეუღლე უნდა ვახლდე, გოგო თავს იკავებდა, ვნახოთ მომავალი რას გვიჩვენებსო.

და ქალის ბიუროკრატიულმა დამოკიდებულებამ ბიჭი იქამდე მიიყვანა რომ ვეღარ მოითმინა:

- იცი რა, თინა, მე მეტი არაქათი აღარა მაქვს. თუასეა, იფიქრე რა როცა გადასწყვიტო, შემატყობინე.

მილიციელი რომ დაიჩემებს, იცით, თავისას იზამს.

თინას გული დასწვა გიგას გულცივობამ. „რა მენაღვლებოა“ ჯერ კი სთქვა, მაგრამ რაკი ერთი თვის განმავლობაში მიჯნურს თვალს ვერსად მოჰქრა, გაწიწმატდა და გიგას ძებნა დაიწყო.

მიღის თინა ქუჩაში და რას ჰხედავს: გიგა ქუჩის შუაგულს დარბაისლური ნაბიჯებით სტეკენის, ხელში სასტვერი უჭირავს და წესრიგის დამრღვევებს აფრთხილებს: არამც და არამც ამ ადგილას არ გადახვიდეთ, თორემ ჯარიმის ქვეთარი თანა მაქვსო.

აუარა თინამ გიგას, ჩაუარა. კიდევ აუარა, ჩამოუარა. გიგას თავი ისე ექირა, თითქოს ამბობდა: სამსახურში ვარ, თავი დამანებო. გიგას ყურადღება რომ ვერ მიიქცია, თინამ წინ გადაუარა: სწორედ ისეთ ადგილას, სადაც გადასასვლელი არ იყო. გიგა შეტრიალდა და გზა უკუმიმართულებით განაგრძო. თინამ ახლა იმ მხრიდან მოუარა და წინ გადაუხტა. გიგამ კვლავ პირი იბრუნა, თითქოს სატრფო ვერ დაინახაო. გაბრაზდა თინა, გადავიდა და გადმოვიდა, გადახტა და გადმოხტა. გაკვირვებული ხალხი ფიქრობდა: ალბათ მილიციელს ჯარიმის ქვეთარი სახლში დარჩა, ამ ქალმა იცის ეს ამბავი და შემთხვევით სარგებლობსო.

მაგრამ საიდანღაც გამოტყვერა უფროსი მილიციელი, თინას წინ გადაეღობა და მიმართა:

- მოქალაქე, თქვენ რამდენჯერმე დაარღვიეთ წესრიგი, ჯარიმას გადახდით, თხუთმეტ მანეთს!
თინა შეკრთა:
- ბოდიში, ფული რომ თან არა მაქვს? არ იქნება შემდეგში გადავიხადო?

- ნისიათ წესრიგის დარღვევა რა საკადრისია, ფული თუ არა გაქვთ, განყოფილებაში წაგიყვანთ და იქ სამ თუმანს გადაიხდით. თინამ რამდენჯერმე გადახედა გიგას. გიგა ისე იქცეოდა, თითქოს იქ არ ყოფილიყო.

და თინა მილიციის განყოფილებაში წაიყვანეს. კარგახანს უყურა გიგამ, ვეღარ მოითმინა და უკან გაჰყვა.

უფროსი მილიციელი და თინა რომ განყოფილებას მიუახლოვდნენ, გიგამ ფეხს აუჩქარა, მაგრამ სწორედ ისეთ დროს მიუსწრო. როცა მორიგესა და თინას შორის საუბარი გაცხარდა:

- ის მილიციელი ჩემი ნაცნობი იყო და იმიტომ გადავედი. — ამბობდა თინა.

- პროტექციით წესრიგის დარღვევა არ გამიგონია, სამ თუმანს გადაიხდით. — ეუბნებოდა მორიგე.

ამ დროს გიგა შევიდა და მორიგეს მოახსენა:

- ბოდიში, ამხანაგო მორიგე, ეს ქალიშვილი ჩემი ნაცნობია და იმიტომ გადავიდა.

- ესე იგი მდგომარეობით სარგებლობ და ხალხს წესრიგს არღვევინებ, ხომ? მაშ შენ უნდა გადაიხადო ჯარიმა!

გიგამ ცივად ამოიღო ჯიბიდან ქვეთარი, მორიგის წინ დახია და სამი თუმანი საკუთარი ჯიბიდან სახელმწიფო ფულთან გადასდო. შემდეგ ღიმილით გადახედა თინას და ორივენი გარედ გამოვიდნენ.

- როდემდის უნდა ვიხადოთ ჯარიმა?! — ხუმრობის ტონით ჰკითხა გიგამ თინას.


- რა ვიცი, სად ხარ, დედა და მამა სახლში გელოდებიან, მოგველაპარაკოსო. — მიუგო ქალმა.

- წავიდეთ! — თქვა გიგამ და ერთი ნაბიჯის შემდეგ, საჯარიმო გზიდან, პირდაპირ საოჯახო გზაზე გადადგეს ფეხი.

# მომხმარებლის შენიშვნა

თბილისის მაღაზიებმა, როცა ბაზარი პამიდორითა და მწვანე ლობიოთი სავსეა, ახლა გამოუშვეს გასული წლის მოსავლის პამიდორის წვენი და მწვანე ლობიოს კონსერვები

ნახ. ა. კანდელაკისა



როგორი უნდა იყოს მომხმარებელთა მომსახურება თბილისის სავაჭრო ორგანიზაციების ზოგიერთი მოუწყის აწრით.

საკრედიტო კომისია: ი. გრიშაშვილი, კარლო კალაძე, უჩა ჯაფარიძე, ს. ფაშალიშვილი, გრ. აბაშიძე (პ/მგ. რედაქტორი).

Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 8-10-49

ბელმოწ. დასაბ. 1948 წ. 14/VIII. ტექსტი აწვობილია ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის“ სტამბაში, ლენინის, № ქ. 28. დაბეჭდილია ოფსეტ მანქანაზე „ზარია ვოსტოკას“ სტამბაში. თბილისი, რუსთაველის გამზ. № 42. გამოც. № 63 შეკ. № 1190 ტირ. 7600 უე 10674